

შპს „ჰალალ ყასაბი“ (ს/ნ 438109253)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები	1715401	49362	3274317
ფული სალაროში	380762	1141	0
ფული ბანკში	6070	2992	69233
დებიტორული დავალიანება	0	0	0
გადახდილი ავანსები	45715	45229	41553
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (შენიშვნა 3.1)	1282854	0	3138600
საგადასახადო აქტივი	0	0	24931
გრძელვადიანი აქტივები	835164	786019	802959
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.2)	835164	755083	769422
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0	30936	33537
სულ აქტივები	2550565	835381	4077276
მოკლევადიანი ვალდებულებები	1278813	167357	4035040
სავაჭრო ვალდებულებები	1254973	2731	921835
საგადასახადო ვალდებულებები	22802	2663	0
მიღებული ავანსები	0	161699	3112500
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	1038	264	705
გრძელვადიანი ვალდებულებები	496720	303278	512978
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	496720	303278	512978
სულ ვალდებულებები	1775533	470635	4548018
სულ საკუთარი კაპიტალი	775032	364746	-470742
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	626992	360417	-475071
საწესდებო კაპიტალი	148040	4329	4329
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2550565	835381	4077276

შპს ჰალალ ყასაბის დირექტორი

Handwritten signature



მაჯით იუსუფოვი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (შენიშვნა 3.3)	55752242	33347617
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (შენიშვნა 3.3)	-54401844	-31592639
საერთო მოგება	1350398	1754978
ხელფასის სახით განაცემი	-193112	-243760
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-43991	-42363
საპროცენტო ხარჯი	-18356	-25318
საიჯარო ხარჯი	-4500	-1250
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.4)	-645582	-719862
საკურსოს სხვაობა (დადებითი + / უარყოფითი -)	-1811	113063
საოპერაციო მოგება	443046	835488
მოგების გადასახადის ხარჯი	-26471	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	416575	835488
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	416575	835488

შპს ჰალალ ყასაბის დირექტორი

მ. ა. მ.



მაჯით იუსუფოვი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	4329	-475,071	-470742
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	835488	835488
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	4,329	360,417	364,746
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	143711	416575	560286
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	0	150000	150000
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	148040	626992	775032

შპს ჰალალ ყასაბის დირექტორი



მაჯით იუსუფოვი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	55644184	30396815
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-55074970	-30119859
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-151400	-191300
გადასახადები (გადახდა -, დაბრუნება +)	-74655	41217
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-10765	-17939
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	332394	108934
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-124181	-30000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-124181	-30000
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	143711	0
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	404700	0
სესხის ძირის გადახდა	-204620	-149513
სესხის პროცენტის გადახდა	-18356	-25318
დივიდენდების გადახდა	-142500	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	182935	-174831
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	391148	-95897
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-8449	30797
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	4133	69233
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	386832	4133

შპს ჰალალ ყასაბის დირექტორი

Handwritten signature



მაჯით იუსუფოვი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „ჰალალ ყასაბი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 20 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 438109253.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ცოცხალი ცხოველებით. იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. კალინინო.

კომპანიის დამფუძნებელია ფ/პ მაჯით იუსუფოვი პ/ნ 36001039153.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და

რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობა-ნაგებობები

5%

სატრანსპორტო საშუალებები

20%

ავეჯი და ინვენტარი

20%

იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა

5%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო და სადისტრიბუციო პროგრამები, რომლებსაც ამორტიზაცია არ ერიცხება.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ მარაგებს, როგორცაა ალუმინის და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის ასაწყობად გამოსაყენებელი მასალები, ასევე, დამატებით კომპანიას სასაქონლო მარაგად აღრიცხული აქვს ნედლეული, მზა პროდუქცია და საწვავი. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	დივიდენდი	ხელფასი
2022 წელი -	0 ლარი;	178571 ლარი;
2023 წელი -	150000 ლარი;	104592 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ (2023 წელი)

2023 წლის მარაგები

დასახელება	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0	1200401
წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი	0	82453
სულ	0	1282854

3.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა (2023 წელი)

დასახელება	პირვანდელი ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	პირვანდელი ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	228261	0	228261	228261	0	228261
შენობები	554064	51503	502561	554064	88044	466020
ავეჯი და სხვა ინვენტარი	331	222	108	0	0	0
სატრანსპორტო საშუალებები	25424	1271	24153	149605	8721	140883
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	36597	5660	30937	0	0	0
ჯამი	844677	58657	786020	931930	96766	835164

3.3 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული საქონლის რეალიზაციის და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების გაშიფვრა (2023 წელი)

2023 წლის რეალიზაცია და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		
	რეალიზაცია	რპთ
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი	47683880	47278364
წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი	7770352	6836898
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივი რეალიზაცია	276822	267957
სხვა შემოსავალი	21187	18625
ჯამი	55752241	54401844

3.4 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა (2023 წელი)

ტრანსპორტირება და შენახვა	10458
საპენსიო ანარიცხები	3862
რემონტი	198596
საკონსულტაციო ხარჯი	4000
ვეტერინარული ხარჯი	3670
აპოსტილით დამოწმების ხარჯი	58020
ლაბორატორიის ხარჯი	180066
საკარანტინო ხარჯი	77696
სერთიფიკატის ხარჯი	42300
ელ.ენერგიის ხარჯი	4888
საბანკო ხარჯი	7440
საგადასახადო ხარჯი	23587
სხვა ხარჯი	31449
სულ სხვა გამოქვითვები	646032

შპს „ჰალალ ყასაბი“-ს დირექტორი

2.



მაჯით იუსუფოვი